



ორგანიზაცია - სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ვაკანსია - ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგისტრატორი (შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი)

სამუშაო ადგილი: ქ. თბილისი

სამუშაოს ტიპი - სრული განაკვეთი

გამოსაცდელი ვადა - 6 თვე

თანამდებობრივი სარგო - 1000 ლარი (დარიცხული)

ფუნქციები :

- „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წარმოება;
- სისტემური და სპორადული რეგისტრაციის ფარგლებში, მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ და თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარება/რეგისტრაცია;
- უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ მონაცემთა აღრიცხვა უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში, რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებით;
- სხვადასხვა უწყებებთან და სამსახურებთან ურთიერთობა, მათგან სარეგისტრაციო განაცხადთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გამოთხოვა;
- შემოსულ კორესპონდენციაზე პასუხის გაცემა ან/და განხილვის შედეგად სარეგისტრაციო განაცხადის მიღების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;
- სარეგისტრაციო განაცხადებსთან დაკავშირებით დაინტერესებული პირისთვის სატელეფონო კონსულტაციის გაწევა;
- მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის მიზნით შერჩეულ დასახლებებში საველე ვიზიტი, მიწის ნაკვეთებზე უფლებამოსილი პირების, უფლების დამდგენი დოკუმენტაციის იდენტიფიცირების და მონაცემების დამუშავების მიზნით.

მოთხოვნები:

- IV კურსის სტუდენტი ან ბაკალავრი/მაგისტრი იურიდიული მიმართულებით;
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების ფლობა;
- სახელმწიფო ენის სრულყოფილად ფლობა.

პიროვნული თვისებები და უნარ-ჩვევები:

- გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა მიდგომების გამოყენება;
- შედეგზე ორიენტაცია;
- სიზუსტესა და დეტალებზე ორიენტირებულობა;
- სტრესის ზემოქმედების ქვეშ მუშაობა;
- დამოუკიდებლად მუშაობა.

საკონკურსო თემატიკა

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- საქართველოს კანონი „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“;
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის N487 ბრძანება „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N509 დადგენილება „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განაკვეთების, საფასურის გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების“ დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 3 მაისის N134 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის _ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

კონკურსის ეტაპები:

- რეზიუმეების გადარჩევა;
- გასაუბრება

გასაუბრების ეტაპზე დაიშვებიან მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, გამოაგზავნოთ თქვენი CV შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:
hr@napr.gov.ge 2021 წლის 9 ივლისის ჩათვლით.

გთხოვთ, სათაურის ველში (subject) მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება - "**ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგისტრატორი**", წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი კანდიდატურა არ განიხილება.